მწყემსი

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდგის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).

ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11—28).

№ 23 **1883-1891** 15 დეკემბერს.

გაზეთის ფასი:

«მწყემსი»		«მწყემსი» რუსული გამოცემით	
12 თვეით	5 მან.	12 თვეით	6 მან.
6 —	3 —	6 —	4 —

ფულისა და წერილების გაგზავნა შეიძლება ამ ადრესით: *въ Квирилы, Въ редакцію „Мжемси“ и „Пастырь“.*

ყველა სტატიები და კორრესპონ დენციები, რომელნიც იქმნებიან დასაბეჭდავათ გამოგზავნილნი ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-მოწერილნი.

სტატია, რომელიც არ დაიბეჭდება, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს

სტატიები მიიღებიან რუსულს ენაზედ დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.

საქართველოს წმ. წყოგილებათა ისტორიიდამ.

ეკკლესიის მნიშვნელობა. საეკკლესიო მამულები და ყმები. მამულების შეწირვა. თანამდებობის მემკვიდრეობა. საეკკლესიო კრებანი. საერო კრებანი და მათი შედარება კრებასთან რუსეთში და ევროპაში. მეფენი—ბერნი. მაჰმადიანთაგან ჩვენი ეკკლესიის დამოკიდებულება. ეკკლესიის გავლენა.

(გაგრძელება *)

ბატონები სამზღვარ გარეთაც ჰყიდდენ ყმებს, ეკკლესია კი იფარავდა მათ. 1794 წ. შესდგა კრება, რომელზედაც ეკკლესიამ შეაჩვენა ტყვეთა გამსყიდველნი. ამ კრებაზედ დაესწრო ჭყონდიდელი ბესარიონი, მიტროპოლიტნი გრიგოლი, ანტონი და სხ.; კრებამ აუკრძალა ტყვეთა მყიდველთ ქორწინება, ზიარება, დამარხვა. ამ შეჩვენებამ თავის შედეგი იქონია: დადიანმა პირობა მისცა, რომ ტყვეთა გამსყიდველთ მიტროპოლიტთა სასამართლოს გადასცემდა. [1]) მაშასადამე ეკკლესია იყო მფარველი ტყვეთა და საერთოდ საწყალთა. ერთხელ თავშეფარებული ტყვე, ეკკლესიას აღარ გამოეწირებოდა. [2])

*) იხ. «მწყემსი»-ს № 21—22.

[1]) Церк. гудж. 15, Кавказ. стар. III, 7—9. Путев. записки по Мингреліи Р. Эристова. შად. ქარ. ცხოვ. II, 71.

[2]) «გუჯრები» გვ. 31.

ეკკლესიას მამულები ემატებოდა წლითი წლამდე კეთილმორწმუნეთა შეწირულობის წყალობით. ეკკლესია გახდა მეტად მდიდარი და შემძლებელი ბატონი, ძლიერი ფეოდალი, რომლის ძალ-ღონე, ერთგულება საჭირო შეიქნა სახელმწიფოსთვის. ნოტკორის ეკკლესიას სწირავს მე-VII საუკ. მეუღლე არჩილ მეფის წამებულისა († 718) სოფლებს. მეფე ბაგრატ მე-III სწირავს სოფლებს ბედიის საყდარს. ამის შვილმა გიორგი I (1014—1027) რამდენიმე სოფელი შესწირა მცხეთას, სვეტი-ცხოველს. დავით აღმაშენებელმა შესწირა გელათს მამული ლიპარიტთი, უმგვიდროდ დარჩენილი». თამარ მეფემ მიუბოძა ვარძიის მონასტერს «მრავალნი და დიდროანნი სოფლები». ამანვე შესწირა მონასტრებს «პალესტინეს და იერუსალიმს». [1]) სხვა მაგალითებიც ბევრია ქართ. ცხოვრებაში მოყვანილი. [2])

მამული, ერთხელ შეწირული, ეკკლესიას აღარ წაერთმეოდა. ზემოთ მოვიყვანეთ მაგალითები შეწირვისა მატიანედან და თუ «გუჯრებს» მივიღებთ მხედველობაში, მათი რიცხვი გაორკეცდება. «გუჯრები შესანიშნავნი არიან მით, რომ იგინი გვიხატავენ მიწის მფლობელობის წესს და რიგს. როგორც წინათაც გვითქვამს—უმაღლეს მიწის მფლობელად ითვლებოდა მეფე და შემდეგ ბატონ-პატრონი. გუჯრით ანუ სიგელით მიცემული ნაბოძები მამული თხოულობდა ამ დოკუმენტის განახლებას ახალ მეფის და ბატონის ხელით. [3]) აწ დაბეჭდილნი გუჯარნი ამ კითხვას ჰფენენ იმავე ნათელს. კათოლიკოზი დიასამიძე იოანნე უმტკიცებს «იმავე წესით», როგორც ბატონიშვილს კათოლიკოზს გაერიგებინა «მანგლისის ეკკლესიისთვის». ამიტომ ხელმომწერი კათოლიკოზი ანდერძად აგდებდა, რომ შემდეგ იმავე ხარისხს აღსულთ დამტკიცებინათ ძველი გუჯარი. ხშირად წყველას უთქლიან, ვინც მოშლის დადგენილს წესს. ამით აიხსნება ერთი იმავე გუჯრის დამტკიცება სხვა და სხვა დროს მცხოვრებელ პირთა ბიერ. ნინო წმინდის გუჯრის დამტკიცებაში მონაწილეობას იღებენ წულუკიძე, ქუთათელი დოსითეოს, გაენათელი ეფთვიმე და სამივენი თანახმანი არიან მეფის განჩინებისა, სამივენი წყველას უთვლიან, «ვინც ეს გასტეხოს, წმიდის სამებისაგან შეჩვენებული იყოს სულით და ხორცით». ამგვარივე ხასიათისაა ხონის გუჯარი. [1])

გუჯრის გაახლება, მეფის უმაღლესი მამულის ყურისგდება შეადგენენ ფეოდალიზმის თვისებას. ერთი ნხარე საეკკლესიო დაწესებულებათა უახლოებს მათ ფეოდალურს წესწყობილებას. მე ვამბობ თანამდებობის მემკვიდრეობაზედ. რამდენად მტკიცე იყო ეს ჩვეულება საქართველოშიაც, იქიდან სჩანს, რომ თვით შაჰაბაზი არ არღვევს მიღებულს წესს და შვილს თავის მამის თანამდებობას ფირმანით უმტკიცებს. [2]) ქიზიყის ასისთავს შერმაზანს ეძლევა თანამდებობა საშვილიშვილოდ (потомственно). მეფე ირაკლი მეორე ჩოლაჩაშვილს უმტკიცებს საუკუნოდ (на вѣчныя времена) მამულს, ყმებს და თანამდებობას. [3]) როგორც საერო სამსახური იძლეოდა მემკვიდრეობით, აგრეთვე სასულიერო თანამდებობაც გადადიოდა საშვილიშვილოდ. ოქონის მღვთისიმშობელს ჰყავდა მემკვიდრეობითი დეკანოზი გარსევანაშვილის გვარისა (наслѣдственный протоіерей). პაღლე მღვდელი სთხოვს მეფე გიორგის, რომ „მამის სამწყსო“ მიეცეს. მეფემ შეიწყნარა ეს თხოვნა და ნეკრესელმა «მოშლა და წინააღმდეგობა» მეფისა არ მოინდომა. [4]) ამგვარად ჩვენი ფეოდალიზმი ამ მხრითაც გვაგონებს ცნობილს საშუალო საუკუნოებში წესწყობილებას. სამს ხანას უჩვენებენ ფეოდალიზმის

[1]) «ქართ. ცხ.» I გვ. 184, 211, 218, 243; 317—18; II, 71.

[2]) ქართ. ცხოვრება II, 26, 71, III. ნახე ალექსანდრე გიორგის ძის შეწირულებანი I, 473—4.

[3]) ჩვენი ბატონყმობა გვ. 57.

[1]) «გუჯრები» გვ. 24, 26, 30—1.

[2]) Крестъ. гр. 88.

[3]) двор. гр. 9, 12.

[4]) Двор. гр. 14 «გუჯ.» გვ. 14.

ისტორიაში: 1, მიწათმფლობელთა გაძლიერება და თავისუფალ გლეხთა ყმად გადაქცევა; 2, ფეოდალური წესწყობილება სახელმწიფოსი, ესე იგი დაყოფა დამოუკიდებელ სამთავროდ და 3, ფეოდალიზმის დაცემა, სამეფო უფლების გაძლიერება, ქალაქების განთავისუფლება. [5]) საქართველოს ისტორიაში პირველმა ორმა ხანამ დიდს ხანს გასტანა და ისე მოესპო თავისუფლება, რომ გაცალკეებული სამეფოების და სამთავროების შემოკრება, დასუსტებულმა სახელმწიფომ ვერ შესძლო. გაძლიერება მიწათმფლობელი არისტოკრატიისა—არაგვის, ქსნის ერისთავისა, მაჩაბლებ'ა და სხვათა, მოჰყვა არლიტიკურად გაყოფა სამს სამეფოდ და ხუთს სამთავროდ, [2]) რომელნიც თავის მხრივ დანაწილდა თავად-აზნაურთა შორის. ამ მდგომარეობაში მოესპო საქართველოს საკუთარი მეფობა. ამით აიხსნება ის გარემოებაც, რომ საქართველოში არ მომხდარა ასრედ წოდებული «ქალაქთა მოძრაობა», არ წამოყენებულა მესამე წოდება—მოქალაქობა, რომელიც საფრანგეთში მეფის მფარველობით მოქმედებდა ბარონების წინააღმდეგ და ინგლისში ბარონების დახმარებით მეფის წინააღმდეგ. შედეგი ამ ერთობისა ის იყო, რომ საფრანგეთში განმტკიცდა განუყოფელი სამეფო უფლება და ინგლისში დამყარდა პარლამენტარული წესწყობილება ჯერ საშუალო საუკუნოებშივე. ეჭვი არ გვაქვს, რომ დაახლოებითი შესწავლა საქართველოს ისტორიისა გამომკვლელს დაანახვებს ისეთს მხარეს წარსული ცხოვრებისას, რომელიც უახლოვდება ევროპაში მომხდარ პროცესს.

თუ აიღებთ ძველს ჩვენს ისტორიას, იქ აღმოაჩენთ კვალს სახელმწიფო უფლებისას. გარდა ზემოაღნიშნული საეკკლესიო კრებებისა საქართველოში წინათ ყოფილა აგრეთვე საერო კრებებიც, რომელთაც ჩაუყარეს საძირკველი ევროპიულ კონსტიტუციას, წარმომადგენელთ მმართველობას. მძიმე და შესანიშნავი გარემოება საქართველოს ცხოვრებაში იწვევდა წარჩინებულ პირთა ერთად მოსაფიქრებლად და საქმის გასარჩევად. ასეგურ მეფეს არ ჰყვანდა შვილი—ძე, გარდა ასულისა. «მაშინ შეკრბეს ყოველნი ერისთავნი ქართველნი მცხეთას ქალაქსა სპასპეტისა თანა, რომელსა ერქვა მაიქან»—და ამ კრებაზედ გადასწყვიტეს მირიან მეფის მოწვევა. [1]) ბაგრატ მეფედ ქართლისა გამოითხოვეს «ყოველთა დიდებულთა, ერისთავთა და აზნაურთა». [2]) ვთქვათ, საეჭვოა ეს უძველესი ისტორია ჩვენი ქვეყნისა, მაინც ერთი დასკვნა შეგვიძლიან აქედან გამოვიყვანოთ: მემატიანეს წარმოდგენილი ჰქონია, რომ წარსულში საყურადღებო საქმეები ირჩეოდა ყოველთა დიდებულთა თანადასწრებით. მემატიანე ვერ ხედავდა აწმყოში წარმომადგენელთა მმართველობას, ამიტომ მას არ შეეძლო თავის დროის შეხედულება გადეტანა ძველ დროების ისტორიაში, მაშასადამე ზემო მოყვანილი მაგალითები იმას მოწმობენ, რომ მემატიანემ ტრადიციით, გადმონაცემი ცნობით, იცოდა მაინც წარსული წესწყობილება.

ჩვენ გვაქვს სხვა ისტორიული საბუთებიც, რომ დიადი საქმეები ირჩეოდა არა ერის დაუკითხავად. ამიტომ ჩვენ მოვიყვანთ ისტორიიდამ ისეთს მაგალითებს, რომელნიც უფრო დაჭეშმარიტებულნი ეჭვს გარეშე არიან. თამარ მეფეს გახელმწიფებაზედ «ქარ. ცხ.» მოგვითხრობს შემდეგს: გიორგიმ, მამამ თამარისამ «შეიყარა ყოველთ სამეფოთ თვისით... შვილი თამარ ნათელი და ბრწყინვალებაჲ თვალთა, მეფე ჰყო თანადგომითა პატრიარქთა და ყოველთა ეპისკოპოსთათა, დიდებულთა, იმერთა და ამერთა, კახიერთა, სპასპეტთა და სპასალართათა და დასვა მარჯვენით თვისსა მეფე და დედოფალი შემკული და შემოსილი

[5]) Eichhorn. deutsche verfabugsgeschite. perresu, La democratie eu france.

[2]) გიორგი მე-VIII დროს († 1469).

[1]) «ქართ. ცხოვ.» 59.

[2]) ib გვ. 208.

პირად-პირადად ფესვედითა ოქროვანითა ბისონთა და ზეზითა...[1]) და დადგა თავსა მისსა გვირგვინი ოქროსა მის ოფაზისა, აღმკული იაკანითა და სამარაგდოთა მიერ [2]) და მდიდარნი ერისანი ლიტანიობდეს წინაშე პირსა მისსა და თვით მეფემან მფიცებელმან ერთგულობისა და ერთსულობისა მისისათვის... აკურთხა კურთხევითა აბრამიანითა». აქედან სჩანს, რომ მეფის ამორჩევის დროს საჭირო იყო დასწრება უმაღლესი სამღვდელოებისა, დიდებულთა, ვეზირთა, სპასპეტთა, სპასალართა და მდიდარნი ერისანთ. შეადარეთ ამას, თუ გნებავთ რუსეთში ცნობილი კრებანი Земскіе соборы, სადაც ირჩეოდა საყურადღებო სახელმწიფო საქმეები, ანუ თვით მეფის დანიშვნაც: въ 1584 г. происходилъ соборъ изъ митрополитовъ, архіепископовъ, епископовъ, игуменовъ, высшаго духовенства и всего дворянства» [3]) იოანნე მრისხანე შვილის, თეოდორეს მეფედ დასამტკიცებლად. შემდეგ კრებანი უკვე უჩვენებენ ამავე ხასიათს და წრეს ამომრჩეველთა. პროფ. კლიუჩევსკი უარჰყოფს 1566 წ. კრების კავშირს ძველს Вѣче-სთან. [4]) პირველი იყო კრება ერ. წარმომადგენელთა პოლიკური ხასიათისა, მეორე (вѣче) იყო კრება ქალაქში მცხოვრებელთ მინც და მაინც соборъ-ს ჰქონდა დიდი მნიშვნელობა.

1598 წ. земскій соборъ-მა ამოირჩია მეფედ ბორის გოდუნოვი. კრება მოხდა პატრიარ იაკობის თავსმჯდომარეობით. კრებამ ამოირჩია მერე მეფედ მიხეილ რომონავი 1613 წ. აქამდის კრებას ჰქონდა ხასიათი რჩევითი, ვეზირობითი (совѣщательный), მიხეილის დროს დასუსტებული სახელმწიფოსთვის წარმომადგენელთა აზრს მიეცა მნიშვნელობა დამფუძნებელობითი (учредительный). აქტები იმ დროიდან ჩვენამდე მოღწეულნი გვაუწყებენ შემდეგს: „государь съ отцомъ своимъ патріархомъ, совсѣмъ освященнымъ соборомъ съ боярами и думными людьми и совсѣми людьми Московскаго государства учинивъ соборъ о тѣхъ статьяхъ говорили... [1]) შეადარეთ ეს ამონაწერი «ქართ. ცხ.» სიტყვებს შესახებ თამარის მეფედ აღვიარებისა: ერთი და იგივე წარმომადგენელთა დასწრებით სწყდება სახელმწიფო კითხვები. რასაკვირველია, არც რუსეთში და არც ჩვენში არ იყო მტკიცედ განწესებული რიცხვი საერო და სასულიერო ანუ სამთავრო წარმომადგენელთა. ამიტომაც ძნელია დაუპირდაპირდეს რუსეთის земскіе соборы და ჩვენი კრება ევროპიელთა პარლამენტს, საცა რიცხვი წარმომადგენელთა, მაგალითად, ინგლისში და საფრანგეთში [2]) აღნიშნული იყო. ჩვენ ეუჩვენებთ მხოლოდ იმ ნიადაგს, რომელზედაც აღმოცენდებოდა საქართველოში კონსტიტუცია. ამით გვინდა გვეთქვა, რომ ხვენი მმართველობა არ წაგვიყვანია აღმოსავლეთის სამეფოებს და მოჩანდა კვალი წარმომადგენელთა მონაწილეობისა სახელმწიფოს განგებაში.

ჩვენ მივაქციეთ ყურადღება თამარ მეფის ამორჩევის ხასიათს და არა ასფაგურ და ბაგრატ მეფეთა შესახებ ცნობებს, რომ მკითხველი უფრო დაჭეშმარიტებით შეხედავს «ქარ. ცხ.» სიტყვას. თუ უძველესი ნაწილი საქართველოს ისტორიისა საეჭვოა და ჩვენი მატიანე მე-XI—XII საუკუნეებში შემდგარი, [3]) მაშინ თამარ მეფეზედ ცნობა ხომ ისტორიულ ფაქტად უნდა ვაღვიაროთ და კრების ამბავი მივიღოთ ნამდვილ ცნობად. ამას არ ეწინააღმდეგება ადრინდელი შეხედულებაც კრებაზედ და ისტორიული პერსპექტივით შეგვიძლიან ეგიც საჭეშმარიტოდ ვიცნათ, თუნდ კიდევ იყვნენ ისეთნი პირნი, რომელნიც შატბერდის კრებულის დაბეჭდის შემდეგ ეჭვს შეიტანენ «ქარ. ცხ.“ სიძველის სინამდვილეში.

მიუბრუნდეთ ახალი დროის ფაქტებს. რუსუდან დედოფალი რომ გადაიცვალა (1247 წ.), საქართველო უმეფოდ დარჩა: ერთი დავითი გიორგი ლამასშვილი დაიკარგა იკონიის საპყრობილეში და მეორე დავითი, ძე რუსუდანისა ნოინეთ გაგზავნეს ყარაყუ-

[1]) შეად. «სიზმარი» Ა. ცხვლილოელისა თითქმის ამ გვარადვე სახავს თამარის მორთულობას. «ივერია» 1891 № 207.

[2]) «ქართლ. ცხოვ.» I გვ. 274.

[3]) Латкинъ. земскіе соборы древней руси. спб. 1885. გვ. 85—9.

[4]) Рус. мысль 1890 г. январь.

[1]) ნახე კიდევ Сергѣевичъ: земскіе собори. загоскинъ исторія права госуд. московск. платоновъ, замѣтки по исторіи земскихъ соборовъ და სხვა.

[2]) guirot. tust. des origines du gouvern. représent. фриманъ и стебсъ. опыты по исторіи англійской конституціи. браистъ, исторія американ. республ. ч. II.

[1]) ესრედ წოდებული სომხური ქრონიკა თავდება დავით აღმაშენებელის სიკვდილით 1125 წ. ამის დროს უნდა იყოს იგი ნათარგმნი ქართულიდან სომხურად.

1891 წელსა, № 23 15 დეკემბერსა.

მწყემსი

ოფიციალური ნაწილი.

იმერეთის ეპარქიის მღვდელ-მთავრის განკარგულებანი.

I.

ჩემდამი წარმოდგენილ ცნობათა და საქმეებისაგან სამღვდელო საეკკლესიო პირებზედ, სხვათა შორის, ცხადათა სჩანს, რომ მრავალნი სამღვდელო და საეკკლესიო პირნი და აგრეთვე სამრევლო სკოლების მასწავლებლები და სხვა სასულიერო წოდებისანი განწესებისა, ანუ ერთი ადგილიდან მეორე ადგილზედ გადაყვანისთვის, თავიანთი დანაშაულობის და მრავალთა სხვა გვართა თხოვნათა გამო ჩამოდიან ქუთაისში, ზოგჯერ თბილისშიდაც მიდიან, თან არა აქვთ არავითარი ბილეთი ბლაღოჩინისაგან და არც დაბარებულნი არიან ადგილობრივი სასულიერო მთავრობათაგან; აცდენენ, თავს აბეზრებენ სასულიერო უწყების კანცელარიებში მოსამსახურე პირებს თავიანთ საქმეებზედ სხვა-და-სხვა ცნობების თხოვნითა და აგრეთვე უადგილო და სრულიად უმიზნო ვედრებით, რათა იგინი შეეწიონ მათდა სასარგებლოდ საქმეების გადაწყვეტაში და ამით ეჭვში შეჰყავთ საზოგადოება ამ მოსამსახურეთა შესახებ. ცხადია, რომ სხვა და სხვა უკანონო მოქმედებათა ზედა გამოძიებული საქმეები ითხოვენ არა მარტო მათი შინაარსის უბრალო გაცნობას, არამედ შესწავლას, კანონების ჩხრეკას და საქმის ყოველი მხრით ახსნას და გამორკვევას, აგრეთვე რომელიმე ადგილზედ განწესებისათვის, ანუ გადაყვანისათვის საჭიროა ცნობები: თვით იმა ადგილზედ მთხოვნელთა წოდებაზედ, წლოვანებაზედ, განათლებაზედ და ყოფაქცევაზედ და გარდა ამისა ხშირათ კარგა ხანს ლოდინიც საუკეთესო კანდიდატებისა. ამისათვის ამგვარ საქმეთა დაბოლოებითი გადაწყვეტა მოკლე დროში არ ხერხდება. მიუხედავათ ამისა აღნიშნულნი პირნი რჩებიან ეპარქიალურ ქალაქში და ხშირად რამოდენიმე დღე უცდიან თავიანთის საქმეების დაბოლოებას; მიტოვება კი მრევლისა კრებულის რომელიმე მწყერთაგან, ანუ საეკკლესიო სამრევლო სკოლისა მასწავლებლისაგან, უმეტესად დიდი ხნობით, გარდა იმისა, რომ ძრავს კრებულის წყერთა, მასწავლებელთა და მრევლთა შორის დრტვინვასა და საჩივრებსა, დიდათ აენებს ხალხის სარწმუნოებრივ მოთხოვნილებათა და სახალხო განათლების საქმესაც. ასეც რომ არ იყოს, სამღვდელოებას დიდი უბრალო და სამძიმო ხარჯი მოსდის საეპარქიო ქალაქებში ჩამოსვლით, როდესაც ეს სრულებით არ არის საჭირო, რადგან ყოველივე თხოვნა უფრო ადვილად შეიძლება მიერთვას სასულიერო მთავრობას ფოსტით; ამ შემთხვევაში არც ხარჯია სამძიმო და არც თავის სამსახურს აკლდება კაცი. იმავე ფოსტის საშუალებით პასუხიც ადვილათ გაეგზავნება მთხოვნელებს რიგ-რიგობით, შეძლებისა და გვარად, არა უგვიანეს ორი კვირისა საქმის დაბოლოებითი გადაწყვეტის დღადგან. რაიცა შეეხება მათ: ვისთვისაც საჭირო შეიქნება ჩემი პირადი შთაგონება და მღვდელ-მთავრული დარიგება, ანუ გამოცდა საეკკლესიო საგნებში, იგინი დაბარებულ იქმნებიან ჩემის განკარგულებით. ამასთანავე მრავალნი თხოულობენ შტატ გარეთ, უნაწილო, ანუ მეორე მედავითნეთა ადგილებს მცირე სამრევლოში და აგრეთვე საეკკლესიო სამღვდელო ადგილების მთხოვნელებათ ჩნდებიან ისეთი სასულიერო წოდების პირნი, რომელთაც არსად სასწავლებელში არ უსწავლიათ და არავითარი ცნობა მათზედ ჩემს კანცელარიაში არ მოიპოვება, აგრეთვე შენიშნულია, რომელ იმ მრევლშიდაც, სადაც ორ-ორი

და სამ-სამი მედავითნეა, წირვა-ლოცვაში და მღვდელ-მოქმედებაში მღვდელს ეხმარება მხოლოდ ერთი მედავითნე, რადგან მედავითნეები ერთი მეორეს რიგ-რიგობით ენაცვლებიან და ამნაირათ ორ-ორ სამ-სამი მედავითნის განწესება უმიზნოთ რჩება. ამგვარი ქცევა სასულიერო წოდების პირთა, გარდა ხარჯისა და სამსახურის ზიანისა, ეწინააღმდეგება: 1) მაღალ ყოველად უსამღვდელოესის საქართველოს ეპარხოსის 1887 წლის ცირკულიარულ მოწერილობას და საქართველო იმერეთის სინოდალნი კანტორის უქაზს ამ წლის 10 აპრილიდგან, № 3085, რომლებითაც სამღვდელოებას აკრძალული აქვს სასულიერო კანცელარიებში ხშირი მიმოსვლა მთავრობისაგან დაუბარებლად; 2) ბლაღოჩინთა ინსტრუქციის § 31, ბაშფორთთა წესდების 64, 66 და 67 მუხ., რომელთა ძალით, არც მღვდლებს და არც მედავითნეებს ერთი დღის ვადითაც არ აქვთ უფლება მოშორდენ თავიანთ სამსახურის ადგილს უშორეს 25 ვერსისა უბილეთოთ და ბლაღოჩინის ნება დაურთველად; ანუ სხვა ეპარქიაში წავიდნენ ჩემგან ნება დაურთველად უბაშფორთოდ, 3) სასულიერო კონსისტორიის 71 მუხ. და უმაღლესად დამტკიცებულ 1869 წლის 16 აპრილს მართლ-მადიდებელი სამღვდელოების საქმეთა დროებით სამმართველოს (პრისუტსტვიის) ჟურნალის 7 მუხ., რომლებითაც აკრძალულია შტატ-გარეთ განწესება კრებულისა მრევლისგან უხარჯოთ და უწ. სინოდისაგან ნებადაურთველად. 4) დასახელებულ ჟურნალის 1 მუხ., რომლითაც განსაზღვრულია მცირე მრევლში კრებულის ნორმალური შტატი ერთს მღვდლისა და ერთის მედავითნისაგან. 5) იმავე ჟურნალის 3 მუხ., რომლითაც დადგენილია მედავითნეების ადგილებზედ განწესება ნამდვილი მღვდლობის კანდიდატებისა. 6) საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის 1876 წ. უქაზს, № 2868, რომელითაც ნება დაურთველია იყოლიონ ორ-ორი მედავითნე, მხოლოდ იმ სამრეველოებში, სადაც 150 კომლზე მეტი მრევლია. 7) უწმიდესის სინოდის 1886 წ. უქაზს, № 1, რომლის ძალითაც საეკლესიო-სამრეველო სკოლების მასწავლებლების ხელდასხმა მთავარ-დიაკვნად და მღვდლად წინადვე მედავითნეთ განუმწესებლათაც შეიძლება. ყველა ზემო მოყვანილ გარემოებათა გამო, ჟურნალის «მწყემსი»-ს საშუალებით, მიეუწერ რწმუნებულს ჩემდამო იმერეთის ეპარქიის ბლაღოჩინებს: ა) ხელწერილი ჩამოართვან სამღვდელო საეკლესიო მოსამსახურეთა, საეკლესიო-სამრეველო სკოლების მასწავლებლებთა და სასულიერო წოდების იმ პირთა, რომელთაც განზრახვა აქვთ იყვნენ ეპარქიალურ უწყების სამსახურში, არ წავიდნენ არსად უბილეთოდ და ნება დაურთველად თავის ბლაღოჩინისაგან და ამ უკანასკნელთა არამც და არამც არ მისცენ ბილეთი წასასვლელათ ქ. ქუთაისში, ანუ თბილისში საკუთრივ იმ საქმეების გამო, რომლებიც სწარმოებენ ეპარქიალურ კანცელარიაში, სინოდალურ კანტორაში, ანუ ეპარხოსის კანცელარიაში, გარდა იმ შემთხვევათა, როდესაც იმათ ოფიციალურათ (მთავრობის ბრძანებით) იბარებენ აღნიშნულ დაწესებულებათა შინა; სხვა საჭიროების დროს ბლაღოჩინმა მისცეს ბილეთი 15 კოპ. ღირების მარკათი, აღნიშნვითა ბილეთში: სად მიდის, რამდენის ხნით, რა საქმისა გამო და ვის სახელდობ ენდობა დათხოვნილის თანამდებობის აღსრულება; ბ) აუხსნან ყველას, რომ არას გზით არ შამოიტანონ არავითარი თხოვნები შტატ-გარეთ ადგილებზედ განწესების შესახებ; რომ მეორე მედავითნეობა ითხოვონ მხოლოდ იმ მრევლში, სადაც 150 კომლზედ მეტია, და ამგვარ შემთხვევაში თხოვნებთან წარმოადგინონ საეკლესიო კრებულისაგან დამოწმებული ცნობა, ანუ მოწმობა, 80 კოპ. ღირების მარკით, უკანასკნელი წლის აღსარებითი სიიდგან მრევლის კომლთა რაოდენობაზედ, რომ იმ პირთა, რომლებიც სასულიერო წოდებისათ უწოდებენ თავს და არ იმყოფებიან ეპარქიალურ სამსახურში. განწესებაზედ თხოვნებთან წარმოადგინონ საბუთები ბლაღოჩინებისაგან: მათ შთამომავლობაზედ, ყოფაქცევაზედ, წლოვანებაზედ, ნათხოვ ადგილზედ მყოფ კრებულთან უნათესობაზედ, ეგრეთვე მაზედ, რომ

არ ყოფილან ისინი სამართალსა და ძიებასა ქვეშე და სხვ., რომ სამრეველო სკოლების მასწავლებლებს ნება ეძლეოთ კითხვისა და გალობისა ეკლესიებში, კვირაუქმე დღეებში ადგილობითი მღვდლის თანხმობით და ეს არ უნდა იჩენებოდეს კრებულთა უწყებაში და მათ არ უნდა ეძიონ სახელი უბრალო, შტატ-კარგთი მედავითნეობისა, რომ ერთსა და იმავე ადგილზედ ბევრ მთხოვნელებში უპირატესობა მიეცემა სასულიერო სასწავლებლებში და სხვა განათლება მიღებულს; ბ) ვალდებულ ჰყონ მედავითნეები, რამდენიც უნდა იყვნენ ერთს ეკლესიაზედ განწესებული, უსათუოდ ყოველ წირვა-ლოცვაზედ და მღვდელ-მოქმედმაზედ ყველა დაესწრონ და არა რიგით, თითო-თითო და დ) სთხოვონ სოფლის მამასახლისებს ყველა ეკლესიებზედ დარაჯების (სტოროჟების) დანიშვნა, თანახმად საზოგ. დად. 113 და 178 მუხ. და შინაგან საქმეთა მინისტრის 1890 წ. ცირკულიარისა, № 34, რომელთა ვალდებულებას შეადგენს ეკლესიის და მის ეზოს წმინდათ შენახვა და საზოგადოდ მოსამსახურეობა კრებულთან წირვა-ლოცვის დროს. ამასთან ერთად სასურველია, რომ დარაჯებმა და მნათემ, რომლებიც უნდა იყვნენ ყოველ ღვთის-მსახურებაზედ, ისწავლონ მედავითნეებთან ქართული საეკლესიო გალობა და მით განაშვენონ წირვა-ლოცვა. ხოლო ჩემ კანცელარიას ეუბძანებ აღასრულოს ჩემი დაბოლოებითი განჩინება სხვა-და-სხვა საქმეთა შესახებ ხრონოლოგიურათ, რიგ-რიგზედ (გარდა საეადო და საპატიო საქმეებისა), შეძლებისა დაგვარად ორი კვირის განმავლობაშიდ დღიდგან საქმის დაბოლოებითი (გადაწყვეტისა) და ვინც ეს ჩემი მიწერილობა არ აღასრულოს, მასზედ მოგახსენოს მე.

ბირი.

II.

სამღვდელოება და ეკლესია მარადის უნდა უწვდიდეს ხელს თავის სამწესოთა ყოველ იმ შემთხვევაში, როდესაც მართლმადიდებელნი ჰირნი მსურველნი არიან ეკლესიის დასამღვდელოთა საშუალებით შეეკედრონ ღმერთსა ანუ სიმრთელისა და დღეგრძელობისათვის ცოცხალთა, ანუ საცხოვნებლად სულთა მათ მიცვალებულთასა. რამდენაც ეს სურვილი და გრძნობა მეტად გაღვიძებულია და ცხოველი ხალხში, იმდენად უფრო შეეწველია, რომ ქრისტიანეთა შორის სუფევს მტკიცე, ცხოველი სარწმუნოება ღმერთზედ. ამისათვის თქვენ უნდა მარადის მეცადინე იყოთ, რომ ესეთი სარწმუნოებრივი გრძნობა აღვიძოთ, ამლიერეთ და გაადორძინოთ ხალხში.

ამისთანა საუკეთესო საშუალებათაგანი, სხვათა შორის, ამ საქმის წარმატებისათვის არის ცოცხალთა და გარდაცვალებულთა მოსახსენებელი კონდაკები, რომელიც ბლაღოჩინმა დეკანოზმა დავით ღამბაშიძემ, (ჩვენის ნება-დართვით და ლოცვა-კურთხევით,) უკვე შეადგინა და გამოსცა, საჭირო დარიგებით და სწავლითურთ ამ საგანზედ.

მოგიწერ თქვენ, რომ მოიპოვოთ ეს წიგნი რწმუნებულ თქვენდამო ეკლესიებისა-

თვის, ეცადეთ სალხშიც გაავრცელოთ და მისი საშუალებით შეაჩვიოთ სალხი იმ მშვენიერს და წასაბაძ ჩვეულებას ცოცხალთა და გარდაცვალებულთა შესახებ, რომელიც ასვ გავრცელებულია მთელს რუსეთში. სარგებლობა ამ გვარის ჩვეულების განმტკიცებისა მრავალ გვარია: ა) ღარიბი ეკკლესიები შეიძენენ ფულს, ეს ფული სამარადისოთ შენახულ იქნება, მარად მოსახსენებლად შემოწირველთ და მათ გარდაცვალებულთა, საზინაში ან სახელმწიფო ბანკში, ხოლო სარგებელი კი მოხმარდება თვით ეკკლესიას და მათ კრებულთა; ბ) თან-და-თან მოისპობა სალხში მრავალ გვარი ამაო და ცრუ მორწმუნებანი და მავნებელნი ჩვეულებანი, რომელნიც გავრცელებულნი არიან სალხში, გ) ხშირი მიმართვა ეკკლესიის საშუალებით ღვთისადმი მოსახსენებლად ცოცხალთა სადღეგრძელოთ და გარდაცვალებულთა საცხოვნებლად, რამდენათმე მაინც შეასუსტებს იმ გულ-ცივობას და გულგრილობას სარწმუნოებაზედ, რომელიც დღეს, სამწუხაროდ, გავრცელებულია; დ) სალხი გაიგებს რომ ის ფუჭი სარჯი, რომელსაც ის სწევს გამოტირილზედ და ესრეთ წოდებულ სელის გახსნაზედ და აღაპზედ, სრულიად მეტია და უსარგებლო ამ შემთხვევაში; ის შეიგნებს და მისვდება, რომ უფრო სასარგებლო იქნება როგორც ცოცხალთა, აგრეთვე მიცვალებულთათვის ეს ფული შეწირულ იქნეს ეკკლესიაში მათ სამარადისო მოსახსენებლად. ხოლო გახსოვდეთ, რომ მოხსენება შემწირველთა სურვილისამებრ, ცოცხალთა თუ გარდაცვალებულთა, უნდა აღსრულოთ მტკიცეთ და ეოველთვის დაწესებულ დღეებში. გარდაცვალებულთა მოხსენება უნდა აღსრულდებოდეს დაწესებულს დროს სალხის გასაგონად. ამასთანავე ეცადეთ, რომ რაც კონდაკში სწერია განუმარტოთ და გააგებიოთ სალხს, რომ მან თვითონ შეიგნოს ამ საღმრთო მოვალეობის სარგებლობა და საჭიროება. 14—20 ნოემბერს 1891 წელსა.

რედაქციისაგან.

ბ. მორჩილად ვსთხოვთ ჩვენს გაზეთზედ ხელის მომწერლებს, რომელთაც ჯერეთ კიდევ არ შემოუტანიათ ამა წლის ხელის მოსაწერი ფულები, დაუჩქაროონ ამ ფულების გამოგზავნას რედაქციაში.

რომში, თათართა სატახტო ქალაქში. [1]) თურქებმა ისარგებლეს ამ შემთხვევით და წამოვიდნენ საქართველოს ასაოხრებლად. [2]) «ამ შფოთთა შინა იყო ქვეყანა საქართველოსა შეკრიბეს უოკელნი მთავარნი საქართველოსანი თავსა კოტისასა, იმერნი და ამერნი. შანშე, ეგარსლან, დადიანი ცოტნე, ვარამ გაგელი, ყვარყვარე, კუპრო შოთაძ და უოკელი ჭერკასნი ქართველნი თორელი გამრეკელი, სარგის თმოგველი, მესხნი და ტაოელნი იტყოდეს, რამე ეყოთ, რამეთუ არლა-რა არს ნათესავი მეფეთა, რაცთა წინამძღვარ გვექმნას და ებრძოდეთ თათართა». [3]) საქართველოს გაჭრებულმა მდგომარეობამ გამოიწვია ყოველთა მთავართა საქართველოსათა და წარმომადგენელთა სხვა და სხვა საქართველოს ნაწილებისა კრება თათრებთან ბრძოლისთვის მოსამზადებლად. ამ კრებაზედ გადაწყვეტეს დავითის, ლაშას შვილის მოძებნა და მეფედ დასმა. ერთს გარემოებაზედ უნდა მივაქცოთ კიდევ ყურადღება. როცა ორივე დავითი გამეფდნენ, მაშინ სიგელები ორთავეს ხელმოწერით მტკიცდებოდნენ. «მეცა მინახავს რომელ სიგელისა თავსა სწერია მეფენი ბაგრატოანნი ნებითა ღვთისათა დავით და დავით. [4]) შემდეგ კრების კათოლიკოზის აბრაჰმისა, და უოკელთა მთავართა მეფე დიმიტრი თავდადებულის დროს. [5]) († 1289). კრება უოკელთა დიდებულთა შეჰფიცებს ვახტანგს, ძეს დავით იმერეთისას ერთგულებაზედ. [6])

ამ საკითხის დასამთავრებლად აი კიდევ რამდენიმე მაგალითი. ზოგს ამათგანს მხოლოდ «ქარ. ცხ». გვერდით ჩვენებით მოვიყვანთ და ზოგს კი ამოვწერთ. ეს კითხვა იმდენად საყურადღებოა, რომ ჩვენ არ გვინდა ამით გავათაოთ მისი გადაწყვეტა. რაკი საეკლესიო კრებაზედ ჩამოვარდა ლაპარაკი, ამიტომ გავიხედეთ საერთოდ კრებაზედ ბაასი. ეხლა კი აი კიდევ მაგალითები მათ გარდა, რომელნიც საეკლესიო კრების მოთხრობაში აღვნიშნეთ და დასამტკიცებლად უჩვენებთ მატიანეს ფურცლებს. [7]) ვახტანგ მე-V, ანუ შაჰნავაზმა აკურთხა ძე თვისი არჩილ მეფედ იმერთა «შემოკრებულთა იმერთა ნებითა». ძალლონე იმოდენა ჰქონდა ამ კრებას, რომ შეიძლო მეფის განდევნაც. «წარჩინებულნი და ერისთავნი შეიზრახნენ და არა ინებეს მეფედ თვისად ბაგრატ, ვინადგან განდგნენ სხვანიცა და გამოირჩიეს მუნვე მყოფი ერისთავთაგანი ანუ გამოკვლეული ჩვენი ესე მეფის ალექსანდრეს ძის დიმიტრის ძე დავით». აქ ჩვენ შევეტაკეთ საკითხავს, როგორი წესი იყო საქართველოში სამეფო ტახტის მემკვიდრეობის შესახებ? პასუხის მისაგებლად საჭიროა ცალკე წერილი და ეხლა კი ის კმარა ვიცოდეთ, თუ რა დიდი და შესანიშნი გაელენა ჰქონდა დიდებულთა კრებას. [2]) ეს ასეც უნდა ყოფილიყო. ყველგან, საცა ფეოდალური წესწყობილება ყოფილა, მეფე არ ყოფილა აღჭურვილი განუსაზღვრელი უფლებით, იგი იყო თანასწორი თავის ქვეშევრდომ ვასალებისა (მთავრებისა). იგი იყო მხოლოდ პირველი მათში primus intes pares, და არა უფროსი. ფეოდალურ წესწყობილების გაელენით მეფეს ძალა დაადგა შეეკრიბა წარმომადგენელთა წრე (etfsa generaux) და მიეცა ის მტკიცე ხელწერილი მათ უფლებათა შესახებ, როგორც იყო Maguia chartia libertatum 1215 წ. იოანეს ინგლისელ ბარონებისთვის. ჩვენში ფეოდალი ძლიერები იყვნენ და არ იყაბულებდნენ თავიანთ განდევნას სამეფო საკითხვების გადაწყვეტაში. ეს საკითხვა იმდენად საინტერესოა, რომ მისი დაწერილებით შესწავლა ჩვენს მოვალეობას შეადგენს. ჩემთვის კი აშკარაა, რომ ჩვენი მეფის უფლება არ იყო განუსაზღვრელი, იგი იყო შებოჭილი სამღვდელო და საერო მთავართა გაელენით და იძულებული იყო მოეწვია იგინი საბჭოდ, რადგან მათ დაუკითხავად ძალლონე ვერ წესძღლებდა სამეფო საქმეების გაძღოლისთვის. საქართველოს ფეოდალიზმის ისტორიაში მოსჩანს კვალი იმ წესწყობილებისა, რომელიც სარჩულად დაედო პარლამენტარულ მმართველობას. [3]) ამას მოწმობს ვახტანგი. საქართველოში ბევრჯერ მომხდარა მეფეთა ისეთი დამდაბლება და შებოჭვა, რომ „სახელი მეფე რქმეეიათ, თორემ მართებული არა უქნეეინებიათ-რა, როგორც ყმათა სდომებიათ ისრე უსამართლებიათ და ურიგებიათ». [4])

[1]) «ქართ. ცხ.» 1 გვ. 366—374.

[2]) ვახუშტი ბაქრაძის გამოცემა გვ. 235.

[3]) „ქარ. ცხ.“ 1, 375.

[4]) »ქარ. ცხ.» 1, 382. ვახუშტი გვ. 238.

[5]) «ქარ. ცხ.» 1 გვ. 421. შეად. ილ. ჭავჭავაძის პოემა დიმიტრი თავდადებული.

[6]) «ქარ. ცხ». 1, 425.

[7]) «ქარ. ცხ.» I, 431, 449, 450. II. 11. 21.

[1]) ყმათა ესე იგი საერთოდ ერის გავლენის შესახებ ნახე «ვახტანგის კანონები» § 2.

[2]) ნახე კიდევ «ქარ. ცხ.» I, 465. მეფის მოკვლა I, 472.

[3]) ვახტანგის კანონები § 2.

საამღვდელოების მდგომარეობა იმერეთში.

ქრისტეს ეკკლესიის დაარსებიდგან მოთავრობა და სასოგადოება მოწადინებულია, რომ ეკკლესიის მოსამსახურეთა ნიეთიერი მდგომარეობა გაუმჯობესონ,

ძველ აღთქმაში ებრაელები ლევიტელების სასარგებლოთ იხდიდნენ ხოლმე მეათედს თავის ქონებიდან; ეხლა ეს წესობით აძლევენ ლევიტელებს უველაფერს პირველად მოწეულს (начатки), როგორც ხილეულობისაგან, ისე პირუტყვებიდგან. ამაებს გარდა ლევიტელები შესაწირავებიდგანაც იღებდენ დაწესებულს ნაწილს და ჭქონდათ მიცემული სადგომები.

ახალ აღთქმაში პირველი ჯაზრი ნიეთიერად საამღვდელოების დასახმარებისა წარმოსთქვა თვით მაცხოვარმა, როდესაც თქვა: «ღირს არს მუშაკი საზეიმოისა თვისისა» (ლუკ. 10, 7). პავლე მოციქულმა წაარეოლ კი გვიჩვენა ჩვენ, საიდამაც შეიძლება საამღვდელოებას დანიშნოს საზრდო: «რამეთუ რომელნი იგი ბაგინსა მსახურებენ ბაგინისაგან სჭამიან, და რომელნი საკურთხეველსა წინაშე სდგანენ, საკურთხეველისაგან ხაწილი გუნდიან. ეგრეცა უფალმან ბრძანა რომელნი სახარებასა მიუთხრობენ სახარებისაგან ცხოვრება» (1, კორ. 9, 14-15). მართლაც და ქრისტეს აქეთ საამისაუფლოს განძავლობაში საამღვდელოება ცხოვრებდა ნება-ყოფლობით საზოგადო კრებაში ქრისტიანებისაგან მატანილი შესაწირავებით, როგორც ფულით, ისე სხვა ხარაგეულობით. მე-IV საუკუნის შემდეგ, როდესაც ქრისტიანობამ ფეხი მოიდგა რომის იმპერიაში, საამღვდელოების ნიეთიერად დასაკმაყოფილებლად გამოჩნდენ კიდე სხვა ბევრი წაარეოლები. გარდა შესაწირავებისა, საამღვდელოება წესების აღსრულებისათვის ფულსაც ღებულობდა; სარგებლობდა საეკკლესიო მენობებით, საამოთხედო ნადელით, ანდერძებით დატოვებულ მამულ-ქონებით და სხვა საჩუქრებით. რუსეთში, როცა კი ქრისტიანობამ ფესვი მოიკიდა, საამღვდელოების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ბევრი ზომაები იყო მიღებული მეფეებისაგან. ეკატერინე II დროს (1765 წ.) ეკკლესიებს მიეკუთვნეს რამოდენიმე ნაწილი მიწა საამღვდელოების სასარგებლოდ. პეტრე I-დგან (1724 წ.) ვიდრე ალექსანდრე პირველამდის (1808 წ.) საამღვდელოებისათვის ჯამაგირების დანიშვნის უფაზები ერთი მეორეზე გამოდიოდნენ. ნიკოლოზ I-ს დროს (1844) წ.), უველა ის ფულები, რომელიც სხვა-დასხვა დროს სასულმწიფო საზინიდამ დანიშნული იყო საამღვდელოების სასარგებლოდ, დაინიშნა თანხად, რომელსაც ეძახდენ: „თანხა ქალაქისა და სოფლების საამღვდელოების საარჩენად“. ეს ასეთია საზოგადოდ საამღვდელოების მდგომარეობის ნიეთიერად გაუმჯობესობის მოკლე ისტორია.—

პირველი მიზანი ამ ზომათა, რომელიც ესლა ჩვენ მოვიხსენიეთ, ის იყო, რომ საამღვდელოება ნიეთიერად უზრუნველ ყოფილიყო, რომ საამღვდელოების ვინაობა და ზნეობითი სალხზე გავლენაც შესაძენელი ყოფილიყო საზოგადოებაში. უნდა ვსთქვათ, რომ თუ საამღვდელო პირი ძრიელ ღარიბია, უჭირს ცხოვრება, ვლასაკვსვეთ მათხოვრობს, ხუთვან და ათვან დაკერილ ტანისამოსშია გამოხეკულია და გარეგანი შეხედულებითაც არ იზიდავს საზოგადოებას, ის კარგ შთაბეჭდილებას ვერ იქონიებს საამწყესოზე. მოციქულების დროს სხვა დრო გახლდათ და ესლანდელი ჩვენი დრო კიდე სულ სხვა არის. ჩვენი სალხი დიდს უფრადღებას აქცევს მღვდლის გარეგან შეხედულებას. თუ მღვდელი წმიდათ და პატიოსნად არის ჩაცმული, მაშინ მისი შეხედულება რაღაც სასოებას გვრის კაცს; და თუ დაძველებულ-ნაკერავ ტანისამოსშია, რომლის მაგალითიც ცოტა არ არის იმერეთში, მაშინ ზიზღიც კი ებადება გულში შემხედველს. მართლაც, ღვთის მოსამსახურე პირს რაღაც არ შვენის უსუფთაობა. ამიტომაც ძველიდგანვე იყო უფრადღება მიქცეული საამღვდელოების ნიეთიერ მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. დასავლეთ ევროპის საამღვდელოებაც რომ არ მოვიხსენიოთ აქ, რუსეთის და ქართლის საამღვდელოება საკმაოდ კარგად მდიდარია. ჩვენი იმერეთის საამღვდელოება კი, მათთან შედარებით, ძრიელ ღარიბია. რა არის იმერეთის საამღვდელოების ესეთი ნიეთიერად დაქვეითების მიზეზი? პირველი მიზეზი არის საამრევლოების სიმტირე. უველასთვის ცხადია, რომ მრავალ კომლიან საამრევლოებში შემოსავალიც კარგი აქვსთ მღვდლებს და მდიდრებიც არიან, ვინემ მცირე კომლიანი საამრევლოების მღვდლები. ამისათვის იმ ეპარქიებში, სადაც მრავალ-კომლიანი საამრევლოების რიცხვი უფრო მეტია, საამღვდელოებაც ნიეთიერად უკეთეს მდგომარეობაშია. მაგრამ ჩვენს იმერეთის ეპარქიაში ამისთანა საამრევლოები ძალიან მცირეა. იმერეთში ითითოეული საამრევლო შესდგება 60—120 კომლისაგან. ძალიან იშვიათად შესვდებით 200 კომლიან საამრევლოებს. უმეტესი ნაწილი საამრევლოებისა 100

კომლს არ აღემატება. საქართველოში 150 კომლიან სამრევლოზე ნაკლები სამრეკლო ძნელად იქნება. უმეტესად 200 კომლიანებია. რუსეთში უკანასკნელს სამრევლოს ეძახიან იმ სამრევლოებს, სადაც მარტო 250 კომლია. რუსეთში სამრევლოები ჩვენი დაბაების ნაკლები არ არიან. ზოგიერთები, რომლებსაც სლობოდა-ს ეძახიან, ჩვენ სიხსარეს და ზესტაფონზე გაცილებით დიდია. [1]) თითო «სლობოდაში» — 2000—4000 სულია ხოლმე. მაშასადამე ამისთანა დიდ სამრევლოებში მღვდლებს დიდი შემოსავალიც ექნებათ. ამა რა უნდა ქნას საწყალმა ჩვენმა მღვდელმა, რომელსაც 60 კომლის მეტი არა ყავს?! რა შემოსავალი უნდა ჰქონდეს ამისთანა სამრევლოის მღვდელს და ან როგორ უნდა არჩინოს მან ცოლშვილი?! გამოტეხილი უნდა გსთქვა, რომ სწორედ საბრალო არის ჩვენი იმერეთის სამღვდელოება ამისთანა მცირე სამრევლოებში. როგორ გინდა იანგარიშეთ, მაინც იმერეთის სამღვდელოების შემოსავალი მათი სამრევლოებიდან შესამჩნევად ნაკლებია. დრამა რომ სულ ფულად გიანგარიშოთ, წელიწადში შემოუა მღვდელსს: 60 კომლის პატრონს 120 მანეთი; 80-ის 160 მანეთი; 100-ს 200 მანეთი. რუსეთსა და ქართლში ორასი კომლიანი სამრევლოს მღვდელს ოთხასი მანეთი ერგება ხოლმე; სამასიანებს — ექვსასი და კიდე მეტიანებს — მეტი. რადგანაც რუსეთსა და ქართლში დრამა ჭირნახულით უფრო იტიან, ვინემ ფულით, ამიტომ ჩვენც რომ ჭირნახულით ვიანგარიშოთ, იქაური მღვდლების სახეფარი, მაშინ კიდე მეტიც ერგებათ, რადგან ჭირნახულის მიტემა მღვდლებისათვის რუსეთში და ქართლშიაც თითქმის უზომოდ იტიან — ნამეტურ რუსეთში; იქ ტომრებს თავამდის აუმსებენ ხოლმე მღვდლებს და თავის ხელით მიაქვსთ მღვდლებთან. ქართლში უფრო მეტ დრამას აძლევენ მღვდლებს, ვინემ ჩვენში. იქ დრამა ოთხი კოდი ჭირნახული იტიან (იქაური კოდი 8 ჩანახია, ჩვენი — 4); ჩვენში ამის ნახევრის მიტემაც კი ეზარებათ, აი რამდენათ ებრალებათ რუსეთსა და ქართლში სამღვდელოება და რამდენათ უფრო მეტად იტიან იქ მღვდლების პატიკისტემა.

ეკლესიებიც ქართლში და, ნამეტურ, რუსეთში უფრო მდიდრები არიან, ვინემ ჩვენს იმერეთში. როგორც ზეეთიტა ვსთქვით, 1765 წელში, ეკატერინე II დროს ზოგიერთ ეკლესიებს სათითოდ მიეკუთვნეს 35—50 დესიატინა მიწა. ეკატერინეს შემდეგ თანდათან თუ ემატებოდათ ეკლესიებს მიწები, თორემ არ აკლდებოდათ. სხვა და სხვა მდიდარი პირებიც თავის მამულებიდგან გულუხვათ სწირავდენ ეკლესიებს სათესს მიწებს, ტუეებს და ფულს. ერთი სიტყვით რუსეთში იშვიათი ეკლესია იქნება, რომ მის მღვდელს რამოდენამე დესიატინა საეკლესიო მიწა და მზა სახლები არ ექნეს. თუ ჭსურს ამ მიწებს მღვდელი თითონ დაიშუშაგებს და, თუ არა, სასარგებლოდ გაცემს ხოლმე. მზა სახლებში არხეინად სცხოვრობენ და ადგილებიდგანაც სარგებლობა კარზედ მოუდისთ. რუსეთში უკანასკნელი ეკლესია იქნება, რომლის მღვდელს ადგილებიდგან 20—25 თუმნის სარგებლობა არ შემოუვიდესთ ოთხელ წლობით. იმერეთში კი ეკლესიებს არა აქვსთ არც მიწები და არც მზა სახლები. ბევრი ისეთი ეკლესიებიც არიან ჩვენში, სადაც მღვდლის შესამოსელიც რიგიანი არ არის. სარტელისა და სამაკურებლის მაგიერთ მღვდლები წირვის დროს ბაწარს იჭერენ ხოლმე წელსა და მაჯებზე. თუ სადმე ორი-სამი ეკლესია მოიპოვება ისეთი, რომ ტოტოდენი ადგილი აქვს, თორემ, სიზოგადოთ, ჩვენში ეკლესიები ძლიერ ღარიბები არიან; მაგრამ ორი და სამი რა ანგარიში მოსახსენებელი უნდა იყოს იქ, სადაც ასზე და ორასზე ლაპარაკი იქნება. —

თავისი ადგილ-მამულიც, რომ ვსთქვათ, საკმარი არა აქვს ჩვენს მღვდლებს. ბევრი ისეთებია, რომლებსაც ადგილი სრულიადაც არა აქვსთ. მაგრამ ვისაც აქვს, იმას რა შემოუდის ამ მამულიდგან? არაფერი!. ნახევარი წლის სარჩო მეჯადი და ბან ესეც არა! მიწასაც კი დაუჯია ნიეთიერად იმერეთის სამღვდელოება. ან კი რა უნდა გაკეთოს ჩვენში კაცმა მიწაზე, რომელსაც ჯერეთ ისეც ნაკლებია მიწა და მერე — „აგრონომიაც“ — ფესვსაციებებულათ არის ჩვენშიო! მეფუტკრეობა და ბაღოსნობაც ხომ სულ იშვიათი მაგალითია ამ ჩვენს მხარეში. რუსეთში კი ასე არ გახლავსთ. იქ ყველა მღვდელს უყვარს ბაღოსნობა და, განსაკუთრებით, მეფუტკრეობა. რამდენჯერ ერთმა, ოუ ორმა ჩემმა ამხანაგთაგანმა მარწმუნეს ხოლმე მე, რომელსაც რუსეთში ვსწავლობდი, რომ ჩვენებს ყოველ წელიწადში მეფუტკრეობიდამ 500

[1]) ყვირილაში ორმოცი კომლია მრევლი!

—600 მანეთი შემოდგომაზე ხოლმე; [1]) აგრეთვე ბალსინობიდამაც. ბევრი იქაური მღვდლების შინაური გარემოება მე თითონვე კარგად ვიცი, რადგანაც თავისუფალ დროს ხშირად დავიარებოდი ხოლმე სოფლებში ჩემ ამხანაგებთან. სად რუსეთის სამღვდელოების მდიდრული ცხოვრება და სად ჩვენი. [2])—

თუ იმერეთში სამრევლოები და ეკლესიებიც ასე ღარიბებია, რომელი წყარიდგან იარსებონ თავი ჩვენმა მღვდლებმა? საჩუქრებით და სხვა და სხვა წესების აღსრულებიდგან შემოსავლითო, მეტუკვიან მკითხველები; მაგრამ იმერეთში არც წესების აღსრულებისათვის იციან დიდი საჩუქარი,—იმისთანა წესები, რომლების შესრულებისათვის კანონით მღვდელს ერგება რამე, ორზე მეტი შეიძლება კიდეც არ მოხდეს; სხვა წესების მაგალითად, ნათლის, ზეთის კურთხევის, სახლის კურთხევის შესრულებას არაფერი საჩუქარი არ იციან მღვდლისთვის ჩვენმა იმერლებმა. მათ გაუგონიათ, რომ ამათი შესრულებისათვის მღვდელს არაფერი ერგებაო; მხოლოდ ჯვარის წერას და მიცვალებულის საქმეებზე (პანაშვიდებზე, წესის აგებაზე და საწირავებზე) სამი მანეთიდგან ხუთ მანეთამდის აძლევენ მღვდელს და სხვას არაფერს. ქართლ-ს და უმეტესად რუსეთში უფრო ხშირად ეძახიან შინ მღვდლებს სხვა-და-სხვა წესების შესასრულებლად, ვინემ ჩვენში და საჩუქარსაც კარგს აძლევენ. იმერეთში ძველრ ტოტს გაუგონია, თუ რა არის პარაკლისი—ღვთისმშობლისა, ჯვარისა, ანგელოსისა და სხ., [3]) ან და ჯურ-მარნის კურთხევა, ლოცვა სახლის საფუძველსა—თესლისა, ყანაში შესვლისა და სხვ. რომლებსაც მეტად

[1]) ვინ უშლის მერე ჩვენ მღვდლებს ამას? დილადამ საღამომდი რომ დროებას აცარებდე მრევლთან და მუშაობას არ კადრობდე, რასაკვირველია, არ გამდიდრდებიო? რა მიზეზია, რომ ჩვენში ზოგიერთ გლეხს 60 და 100 ძირი ფუტკარი ჰყავს და მღვდელს არც ერთი? ჩვენი დაუდევნელობა და ზარმაცობა. რაიცა შეეხება ადგილს, ჩვენი ადგილისთანა ნაყოფიერი მიელს რუსეთში არ მოიძებნება, მაგრამ უმუშევარი არაფერს არ იძლევა მიწა და მუშაობა ჩვენ გვეზარება. ვინც მუშაობს, ყველაფერი ბევრი აქვს.

[2]) ვიცით, რომ მდიდრები არიან და ანაფორებიც მმკვნიერი აცვიათ, მაგრამ ტანისამოსის და კარგი ანაფორებიი სამღვდელოების გაგლენა არსად და არასოდეს არ იზოშება და არ ფასდება... მარტო ძვირფასი ანაფორა ქრისტიანობას არ გაავრცელებს...

შეიძლება არ იცოდენ, რადგან არასოდეს არ გაეგონიათ მღვდლისაგან. ჭურისა და მარნის კურთხევაზედ აქვსთ აქ ურადღება მიქცეული.

რედ.

გადმოვიდეთ ხოლმე რუსეთში და რომლების შესრულებისათვის მღვდელს ოთვეულთვის საჩუქარს აძლევენ ხოლმე. გარწმუნებთ, რომ იქ არაფერ საქმეს არ შეუდგებიან და არც გაათავებენ ისე, რომ თავის მოძღვარს არ დაუმახონ, საქმე არ დასდოტეიონ და საჩუქარიც არ მისცონ მას. კრთი სიტყვით, ოთვეულთრიანთ რუსეთის საშუალო მრევლის მღვდელს წელიწადში ორასი მანეთი შემოუვა; ათას ხუთასზე მაინც არ მოიყვანს. ბევრი მისთანა სამრევლოებიც კი არიან, რომელთაგან მათ მღვდლებს სამი ათასი მანეთი და კიდე მეტიც შემოუდისთ ხოლმე წელიწადში. ჩვენი იმერეთის მღვდლებს ორასი ან სამასი, ძალიან ეიშვიათი ოთხასი მანეთი თუ შემოუთ ეკვლაფერიანა წელიწადში. [1])—

აი ამიტომაც რუსეთში სამღვდელოებას გამორჩეული მდიდარია იმერეთის სამღვდელოებაზე. იქ ეიშვიათი მღვდელი იქნება, რომ ბანკში რამოდენიმე ფული არ ჰქონდეს შეტანილი. ბევრი ისეთებიც კი არიან, რომელიც 15,000 მ. და 25,000 მანეთიც აქვსთ ბანკებში. [2]) კრთი სიტყვით: „სამღვდელოება მდიდარია“, რომ ამბობენ, ჩვენი იმერეთის სამღვდელოების გარეშე იტყვიან ხოლმე ამას. მხოლოდ რუსეთისა და ქართლის სამღვდელოებას შეეხება ეს სიტყვები და არა ჩვენსას; ჩვენი იმერეთის სამღვდელოება ამ ორია სამღვდელოებათა-შუა მესამე გამორჩეულია. [3])

მღვ. ანესალოზ ჩიჩანიძე.

[1]) ბევრგან უფრო ღარიბნი არიან რუსეთში სოფლის მღვდლები. ზოგიერთებს ისე ქონდათ ამაზე წინად გაჭირვებული საქმე, რომ კვერცხს დაამარილებდენ ხოლმე და შემდეგ საჭმელად ხმარობდენ. ჩვენში ეს არასოდეს არ ყოფილა. რუსეთის მსგავსად რომ ჩვენში აქა-იქ ყანებში წაიყვანონ მღვდლები, შენი მტერია იმათ საქმე მოუვიდესთ. რუსეთში ერთად აქვსთ ყანა და მთელი მრევლი იყრის თავს ერთად. აქ ყანა ერთი დღის სავალზედ აქვს კაცს და იქ რომ წაიწყვანოს მღვდელი, როდისღა დაბრუნდება შინ!...

[2]) განა ჩვენში არ არის იმისთანა მღვდლები, რომ 15 ათასი მანეთი ჰქონდესთ? მამელოთ ჩვენში 20 და ოც-და-ათი ათასი მანეთისაც აქვს. რუსეთში ხშირად მღვდლის ცოლი სეფისკვრის მცხობლად დგება, ქმრის სიკვდილის შემდეგ. ჩვენში ვინ იცა ალრეს ამას. უბრალო სოფლის მღვდელს წაართვეს 8000 მანეთი ქურდებმა აგერ წიბაზედ და რამდენი აქვს ფულად და მამულად ბეღდეგ, ვინ იცის... შრომა, შრომა და შრომა, წაძა დრო არ უნდა დაკარგო კაცმა ტუუვილად და მდიდარი შეიქეცი.

[3]) საქართველოს სამღვდელოებას იმერეთის სამღვდელოება ჯერეთ არაფერში არ ჩამოუარდება. სუფთად ცხოვრობს, შვილებს ზრდის, სამწესოს მწესის და სხვა რა მოვსთხოვოთ? ღარიბები იმერეთშიც არის და საქართველოშიცა—ღარიბები ხშირად თავისი ზარმაცობით...

რედ.

† თ. გრიგოლ დავითის-ძე გურიელი.

(ნეკროლოგი).

ძიდევ მოაკლდა ჩვენს სამშობლოს ერთი ერთგული და საყვარელი მამულის შვილი. 2 დეკემბერს დაასაფლავეს თ. გრიგოლ დავითის ძე გურიელი. ბევრი ერთგული შვილი მოჰკლებია ჩვენს მამულს, მაგრამ თ. გრიგოლისთანა დიდი გონებისა და პატიოსნების კაცი ძვირად მოიპოვება დღეს ჩვენს საქართველოში. იგი იყო მზრდელი ობოლთა, პატრონი და მფარველი ქვრივთა, ჩაგრულთა და დევნულთა. განსვენებული დიდი მოყვარული იყო ქველი საქმეებისა. ყველა ეს კეთილი თვისებანი განსვენებულისა გამსჭვალული იყო ჭეშმარიტი ქრისტიანული სარწმუნოებით. განსვენებულის ყოველი კეთილი საქმე სრულდებოდა, სახარების სიტყვისა მებრ, ფარულად და მას არ უყვარდა ზოგიერთებსავით თავის ქება და საჯაროდ გამოქვეყნება თავისი კეთილი საქმეებისა. ამისათვის არც ჩვენ ვრაცხთ საჭიროდ დაწვრილებით მოუთხრათ საზოგადოებას განსვენებულის ცხოვრება და კეთილი საქმენი. ყველანი უნდა ვსცდილობდეთ, რომ ყოველი ჩვენი კეთილი საქმე იყოს ფარულად აღსრულებული, რომ ღმერთმა, რომელიც ხედავს ყოველსა დაფარულსა ყველას მოგვაგო ჩვენ საქმეთაებრ ჩვენთა. ამას ითხოვს ქრისტეს ჭეშმარიტი სწავლა და ასეც უნდა ვიქცეოდეთ ყველანი. საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, ჭეშმარიტო ქრისტიანო და საქართველოს ერთგულო მამულის შვილო გრიგოლი!

ლოცვა.

ღმერთო ქებულო
და დიდებულო,
ყოვლად ძლიერო ძეო ღვთისაო,
ისმინე კაცთა
ცოდვილთა, მცდართა
და უღირსისა ჩემ-მონისაო.

ყურნი სმენითა,
თვალნი ხედვითა
მოგვაპყარ, კმა არს რისხვა ზეცისა...
მოხედე ერსა,
მწყურვალ მშიერსა,
ისმინე ხმანი ტანჯულთ კვნესისა.

არა აქვთ შვება,
დიდ გაჭირვება
სულსა უხუთავს საწყალს ჩვენს ერსა.
მტერობა, შური
შეიქმნა სჯული,
სიმართლე სძებნო, ვერ პოებ დღესა.

ძმა ძმას ღალატობს,
ცუდს ლაპარაკობს,
უთხრის საფლავსა მოყვასი მოყვასს,
კითხავ, გაგათრევს,
თავს გაიმართლებს,
მოწმეთ ზეცა და თვით ღმერთი მოჭყავს!

ღმერთო, შენ იცი,
კაცი უვიცი
მარადის სცოდავს წინაშე შენსა,
განამარტივე,
შენ აპატივე
ღვთის მშობლის წილად ხდომილსა ერსა.

დახსენ უდელსა,
ცეცხლსა უნელსა,
მტერს საძაგელსა, სჯულის შემშლელსა,
ღონე მძლეობის,
წინა მსვლელობის
მიეც, აშორე ჭირს განსაცდელსა.

მოაგონე მათ
შენდა საქებლად
სჯული მამათა და წესდებანი,
ტანჯვა სულისთვის,
და სიმართლისთვის,
ჭირთა გაძლება, თავ-დადებანი.

რაჟდენ საჯაოხელი.

წერილი რედაქციისადმი.

მამაო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ, ნება გვიბოძოთ, რომ თქვენის გაზეთის საშუალებით გულითადი მადლობა გამოუცხადოთ იმ პირთ, რომელთაც ფოთის საკარო წიგნთ-სამკითხველოის სასარგებლოდ შემოსწირეს და მასთან გთხოვთ დაგვიბეჭდოთ ეს შემწირველთა სიტ. ფოთის სტენის მოუკარე პირთაგან 36 მან., იოანა მეუნარგიამ 16 მან., ხრისტოფორ ხუმარაძემ 5 მან., მღვდელმა იაკობ ხუტიანტმა 3 მ., უარამან ტეტხლაძემ 3 მ., ანდრია ლოლუამ 5 მ., დავრენტი ტუღუშმა 4 მ., ალექსანდრე ნებიერიძემ 3 მ., და მოშავალი წლიდგან გაზეთი «იკერია». ბ. სამაკიმ 1 მ., კ. კოლოგანოვმა 1 მან., ა. კასპარიანტმა 1 მან., კონსტანტინე ბაუბეუშმელიქოვმა 1 მ., სიმონ გუგუნავამ 2 მ., ნიკო დავითიამ 1 მ., კარბეზ წერეთელმა 1 მ., ას. ჯალალოვმა 1 მ., რუსტამ ბაბავამ 1 მ., სტეფანე კარდსელოვმა «Одескія Новости». მიხაილ ჯორჯიკიამ სამი რუსული წიგნი, პეტრე ხუმარაძემ 13 რუსული და 2 ქართული წიგნი, კოტე გაბრიჩიძემ 5 ქართული და 1 რუსული წიგნი, გიორგი ლეონიძიამ 4 რუსული წიგნი, ვლადიმერ ასობაძემ 2 რუსული წიგნი, ალექსანდრე ჯორბენაძემ 5 მ. დირებული ფოტრები, ნიკო რამიკაშვილმა 5 მ., დირებული სკამი და სტეფანე ლამბარეოვმა 2 მ. დირებული სკამი.

ფოთის საკარო წიგნთ-სამკითხველოს გამგეობა.

ახალი ამბები და შენიშვნები.

სასულიერო და საერო კალენდარი, შედგენილი და გამოცემული დეკ. დავით ღამბაშიძის-მიერ, უკვე გამოვიდა და ისყიდება: ქ. ქუთაისში ძმ. ჭილაძეების და წერეთლების წიგნის მაღაზიებში; ქ. თბილისში—იზმირეოვის მაღაზიაში; ფოთში—ბ. ნოდიას წიგნის მაღაზიაში; დ. ყვირილაში—თვით გამომცემელთან. სამღვდელოებას ამ კალენდრის მოპოვება შეუძლია ადგილობით ბლაგოჩინებთან: მმ. ხელაიეთან, ი. ხარიტონოვთან, ს. ბეგიევთან, ი. გამრეკელოვთან. სამეგრელოში: გ. ბერიძესთან, დეკანოზთ: ს. ელიავასთან, ს. ანჯაფარიძესთან, თ. ხოშტარიასთან და კ. გაცერელიასთან; იმერეთის ეპარქიაში ყველა ადგილობით ბლაგოჩინებთან. ფასი ყველგან თითო ცალი კალენდრისა არის ერთი აბაზი. კალენდარს თან მიჰყვება ერთ დიდ ფურცელზე დახატული სურათები: ხელმწიფე იმპერატორის სახლობისა, უწმ. სინოდის ობერ-პროკურორისა, შინაგან საქმეთა, სამხედრო, ფინანსის, გარეგან საქმეთა და გზათა მინისტრებისა, ზღვათა სამინისტროს მმართველისა, მიტროპოლიტ იოანნიკესი, საქართველოს ექსარხოსის მთავარ-ეპისკოპოსის პალლადისა, იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა და გურია-სამეგრელოის ეპისკოპოსის გრიგორისა, წმ. ნინასი, საქართველოს მეფის დავით III ალმაშენებელისა, შუშანიკისა, დავით გარეჯელის, გელათის მონასტრის და ამავე მონასტრის ძვირფასნივთთა.

* *
*

მის მაღალ ეოველად უსამღვდელოესობას, საქართველოს ექსარხოსს პალლადის 18 ამ დეკემბერს შეუსრულდება 25 წლის სამსახური;

* *
*

რუსეთის მოუსაველობით დამშეულ გუბერნიებისაგან თან-და-თან მოემგზავრებიან ხალხი ჩვენს საქართველოსკენ. მრავალი მათგანი ებინავებიან აქა-იქ ქალაქებში და დაბებში. განსაკუთრებით ბევრი ხალხი მოაწყდა დ. ყვირილას იმ იმედით, რომ ჭიათურის გზაზე სამუშაო აღლონ და კიდეც შოობენ სამუშაოს. მაგრამ, აიღებენ თუ არა დღიურ ქირას, მაშინვე ლოთობას მიჰყოფენ ხელს და მათი მთვრალობა აკვირვებს ადგილობით მცხოვრებთ.

რედაქციის პასუხი.

ჩვენ გვეკითხებიან ზოგიერთი მღვდლები, თუ როგორ უნდა ჩასწეროონ მათ ცოცხალნი, ანუ გარდაცვალებულნი მოსახსენებელ კონდაკში და ან მოსახსენებელი ფული რამდენი უნდა შემოიტანოს მსურველმა? აი ჩვენი პასუხი:

ძველს დროში რომ ყოფილა ამისთანა მოსახსენებელი კონდაკები, ამას ცხადათ ამტკიცებს ხალხის ჩვეულება და სიტყვები: «ჩამწერეთ კონდაკში და ამდენს და ამდენს შევსწირავ ეკლესიას». ზოგიერთ მღვდლებს მოსახსენებელ კონდაკად მიაჩნიათ ის კონდაკი, რომელსაც წირვის დროს ხმაროობენ, და მართლაც ამისთანა კონდაკებში სწერენ შემწირველ მოსახსენებელ პირთ, თუ ამ კონდაკებში სადმე ცარიელი ადგილი მოიპოებოდა. აი რუსეთში და საბერძნეთში რა წესი სუფევს ამისთანა მოხსენების შესახებ: მოსახსენებელი კონდაკი ინახება ეკლესიაში. ამ კონდაკებში იწერებიან, სურვილისა მებრ, როგორც ცოცხალნი, ისე გარდაცვალებულნი. ზოგნი თხოვილობენ, რომ მათი გარდაცვალების შემდეგ მოიხსენონ ისინი წელიწადში სულის მოხსენების დღეებში ერთჯერ, ორჯერ ანუ სამჯერ. ერთ გზის მოხსენებისათვის ყოველ წლობით სწირავენ ეკლესიის სასარგებლოდ 50 მანეთიდგან 100 მანეთამდე; ორ და სამ გზის მოხსენებისათვის ყოველ წლობით სწირავენ 100—200 მანეთამდე და ზოგნი მეტსაც. ამნაირად კონდაკში ცალ-ცალკე იწერებიან, თუ ვინ რამდენჯერ უნდა მოიხსენონ ეკლესიაში. ფული, შემოწირული მსურველთაგან ანუ გარდაცვალებულ პირთა ჭირისუფალთაგან, ითვლება ეკლესიის სამუდამო, ხელ-უხლებელ თანხად. ეკლესიას და კრებულს შეუძლია ისარგებლოს ყოველ წლობით ამ ფულების სარგებლით, ამ ფულების სარგებელი შეადგენს სამუდამო წყაროს. ვინიკობა არის, ეკლესია გაუქმდა, მაშინ ამ ეკლესიის კონდაკში ჩაწერილ პირთ, მოხსენება ექნებათ იმ ეკლესიაში, რომელი ეკლესიის სასარგებლოთაც შეირიცხება ეს ხელ-უხლებელი თანხა. ბევრგან ზოგიერთნი თავის სიცოცხლეშივე სწირავენ საუკუნო მოსახსენებელად ფულებს სიცოცხლეში ტაძრთელობისა, ხოლო სიკვდილის შემდეგ საუკუნო მოხსენებისათვის. ამ სახით ფულებს სწირავენ როგორც ეკლესიას, ისე კრებულის სასარგებლოდ, რასაკვირველია, იმ პირობით, რომ მარტო სარგებელი მოიხმარონ და თანხა საუკუნოდ დარჩეს. ამნაირი საშუალებით რუსეთის ზოგიერთ ეკლესიებს შეძენილი აქვსთ საუკუნო ხელ-უხლებელი თანხა 5000—20000 მანეთამდე. ამისთანა ეკლესიები და მათი კრებულნი ნიადაგ უზრუნველ ყოფილნი არიან ნივთიერად. ყველა ესენი შედეგია სამღვდელოების მრავალ წლის განმავლობაში მუყაითობის, გამჭრიახობის და მეცადინეობისა. ჩვენში კი ეს საქმე ეხლა იწყება და სრული იმედიც არის, რომ ჩვენი სამღვდელოება უკან არ ჩამორჩება სხვა სამღვდელოებას.

თვითონ კერძო პირებსაც აქვსთ მოსახსენებელი კონდაკები, რომლებშიაც უწერიათ თავის ოჯახის ყველა ცოცხალნი და გარდაცვალებულნი პირნი, როდესაც მღვდელს სთხოვენ წირვას, ანუ სეფისკვრისაგან ნაწილის ამოღებას, მაშინ თან მიაქვთ ხსენებულნი კონდაკები და აძლევენ მღვდელს, რომელნიც იხსენიებენ წირვაზე, ანუ კვეთის დროს ამ კონდაკებში ჩაწერილ პირთ და ამ შემთხვევაში აღებული სასყიდელიც საკუთრად მღვდლის სასარგებლოდ ირიცხება. მღვდლის სასარგებლოდ ირიცხება აგრეთვე ისიც, რასაც აძლევენ კონდაკებში ჩაწერილნი პირნი საორმოცო, ანუ რამოდენიმე წლის განმავლობაში დათქმული მოხსენებისათვის. რაცა ესთქვით, ვგონებთ, საქმაოა ჩვენი სამღვდელოების სახელმძღვანელოდ.

განცხადებანი.

უმაღლესად დამტკიცებული „რუსეთის საზოგადოება» თანხის და შემოსავლის დაზღვევისა, დაარსებული 1835 წელს.

საზოგადოება აუზღავს

1., თანხას შვილებისათვის, ანუ სხვა მემკვიდრეებისათვის, ვინიკობაა დამზღვევი გარდაიცვალა.

2., თანხას, რომელიც შეუძლიან თვითონ დამზღვეველმა მიიღოს, როცა მოხუცდება.

3., თანხას, რომელიც მიეცემა დამზღვეველს აღნიშნულ ხნის შემდეგ, როცა თვითონ დასჭირდება შვილების დასაბინავებლად, ანუ ქალებისათვის სამზითოდ.

4., პენსიას სიკვდილამდის, სამკვიდროს და სხვა...

უმთავრესი აგენტი და ინსპექტორი კავკასიაში ნ. ბრუზენბერგი. ფოსტის და დეპეშის აღრესი: Грузенбергу Тифлисъ.

(15—10)

მიიღება ხელის-მოწერა 1892 წლისათვის ორ კვირეულ გამოცემათა ქართულს

„მწყემსზედ“

და

რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზედ

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1) შეატყობინოს სამღვდელო და საერო წოდებას ყველა განკარგულება და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და სახოვრიელო მართებლობათა, კონსისტორიათა და მღვდელ-მთავართა; 2) გაავრცელოს ქართველ სასულიერო წოდებაში და ხალხში სალიტერატურო სწავლა და ცოდნა საეკლესიო და საზოგადოებრივი ცხოვრების კითხვათა შესახებ; 3) გაავრცელოს საქართველოს სამღვდელო და საერო წოდებაში სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივი კეთილ ზნეობისა და სარწმუნოებისა და 4) აუხსნას და განუმარტოს სამღვდელო და საეკლესიაო მოსამსახურე პირთა ზოგიერთი საეჭვო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს მათთვის მტკიცედ მათი მოვალეობის აღსრულებისათვის.

მიზანი და დანიშნულება რუსული გამოცემისა, ზემოხსენებულის პროგრამმის აღსრულების გარდა, არის—1) შეატყობინოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას შინაარსი შესანიშნავ და საინტერესო «მწყემს»-ში დაბეჭდილ სტატიებისა; 2) გააცნოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას საქართველო, ეს დაშორებული კუთხე რუსეთის იმპერიისა და საქართველოს სასულიერო და საერო წოდება ქართული გამოცემის საშუალებით გააცნოს რუსეთის სასულიერო მწერლობას და ხალხის ცხოვრებას.

ფასი გაზეთისა:

12 თვით «მწყემსი» 5 მ.	6 თვით «მწყემსი» 3 მ.
— „ ორივე გამოცემა 6 „	— „ ორივე გამოცემა 4 „
— „ რუსული „ 3 მ.	— „ რუსული „ 2 მ.

რედაქციას აქვს კანტორები: ქუთაისში ხანანაშვილების სახლებში და ყვირილაში რედაქტორის საკუთარს სახლებში.

გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც ყვირილაში, აგრეთვე ქუთაისშაც.

გარეშე მცხოვრებთა გაზეთის დაბარება შეუძლიათ ამ ადრესით: Въ Квирилы, въ редакцію газетъ „МЦКЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

მიიღება ხელის-მოწერა 1892 წლისათვის ორ თვიურ საყმაწვილო სურათებიან ჟურნალ

„ჯეჯილზე“

წელიწადში გამოვა სულ 6 წიგნი, და თითო წიგნში იქნება ოთხიდამ-ხუთამდე ნაბეჭდი თაბახი, ანუ 64—80-დე გვერდი დიდის ფორმატისა.

«ჯეჯილში» დაიბეჭდება: მოთხრობანი, ლექსები, ზღაპრები, მოგზაურობის და შესანიშნავ-კაცთ ცხოვრების აღწერა, პოემები, მოკლე ამბები, სამეცნიერო წერილები, საბავშო სათამაშონი და სავარჯიშონი, სამათემატიკო ამოცანები, იგავები, ანდაზები, გამოცანები, ნარევი, რებუსები და სიმღერები ნოტებით.

ჟურნალში მონაწილეობის მიღება აღგვითქვეს ყველა ჩვენმა საუკეთესო მწერლებმა.

ჟურნალი «ჯეჯილი» თბილისში დატარებით ღირება—3 მანეთი, თბილის გარეშე გაგზავნით 4 მან.

ცალკე ნომრის ფასი იქნება 60 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარი წლით.

ხელის მოწერა მიიღება:

1) თბილისში — «წერა-კითხვის საზოგადოების» კანცელარიაში (Дворцовая ул., д. Зем. Банка, № 125) და თვით «ჯეჯილის» რედაქციაში Красногорская ул. д. Назарова № 7).

2) ქუთაისში—ეკ. ნიკოლაძისას.
3) გორში—ეკ. ფურცელაძისას.
4) ბათუმში—მ. ნიკოლაძის გაზეთის საგენტოში.
5) საჩხერეში—ყარამან ჩხეიძესთან.

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала «ДЖЕДЖИЛИ»*

რედაქტორი-გამომცემელი ან. თუმანიშვილი—წერეთლისა.

შინაარსი: საქართველოს წეს-წყობილებათა ისტორიიდამ.—სამღვდელოების მდგომარეობა იმერეთში.—† თ. გრიგოლ დავითის ძე გურიელი.—ლოტვ (ლექსი).—წერილი რედაქტორთან.—ახალი ამბები და შენიშვნები.—რედაქციის პასუხი და განცხადებანი.

რედაქტორი და გამომცემელი დეკ. დ. ლამბაშიძე. *Дозв. цензурою. Кутаисъ, 14 Декабря 1891 г.*
Типографія редакціи (И. Д. Гамбашидзе) Въ Кутаисѣ, помѣщ. въ домѣ бр. Хананановыхъ на Нѣмецкой ул.